ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #565

<u>პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის პროგრამა</u>

<u>გამარტივებული შესყიდვა</u>

ქ. თბილისი 14 ნოემბერი 2012 წელი

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის გრიგოლ გიორგაძის სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42,
საიდენტიფიკაციო კოდი: #204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის ნომერი: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,
შპს „თეგეტა მოტორსი"
წარმოდგენილი დირექტორის გიორგი მშვილდაძის სახით
მის: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #5
საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი";
IBAN: GE80TB0600000024467853
(შემდგომში „მიმწოდებელი")

<u>წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი.</u>

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროებისათვის **<u>ავტომანქანის Wolksvagen Passat -სათვის სახ. ნომრით OEO-818 და ავტომანქანის Mercedes-benz-ისათვის სახ. ნომრით LOL-121 შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.</u>**

1.2 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და ტექნიკური აღწერილობა მოცემულია **ფასების ცხრილში - დანართი #1;**

1.3 CPV კოდი: **<u>50112000 - მანქანის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;</u>**

2. **ფასები და ანგარიშსწორების პირობები**

2.1 შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს - **<u>315.00 ლარს (სამასთხუთმეტი ლარი და 00 თეთრი).</u>**

2.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

2.3 დაფინსების წყარო: 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეულის მომსახურების ღირებულების მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

2.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ლაშა კახაძე.

3. **მომსახურების გაწევის პირობები**

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ **<u>7 სამუშაო დღის ვადაში</u>** უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევა, ასევე მომსახურების გაწევისათვის საჭირო მარაგნაწილებით უზრუნველყოფა საკუთარი ხარჯებით;

3.2 მომსახურების გაწევის ადგილს წარმოადგენს **ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #5;**

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთიანად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.2 შემყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - **ლაშა კახაძე.**

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი რათა დარწმუნდეს გაწეული მომსახურების ხარისხში.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

5.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

7.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.3%-ს.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

9.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების სრულად შესრულება ან მისი ნაწილისა;

9.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

9.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

9.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

9.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების ენა და შეტყობინება

12.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

12.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან";

12.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელ. ფოსტის სახით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

12.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების გაგზავნიდან მე-3 დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დგება.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **<u>2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.</u>**

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „თეგეტა მოტორსი"
გრიგოლ გიორგაძე	გიორგი მშვილდაძე

დანართი N1

2012 წლის 14 ნოემბრის N565 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

ავტომობილების მოდელი და სახელმწიფო ნომერი:	Wolksvagrn Passat - QEQ-818 Mercedes-benz - LQL-121

N	სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება	განზ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი
1	ყუმბარის შეცვლა	ცალი	1	40	40,00
2	წ/ქ უკანას ბერკეტის მილის შესვლა	ცალი	2	35	70,00
3	წინა ამორტიზატორის საყრდენის შეცვლა	ცალი	1	35	35,00
4	გრძივი ბერკეტის მილისას შეცვლა	ცალი	2	40	80,00
5	თვლების შეყრა	ცალი	2	20	40,00
6	ხუნდების შეცვლა	ცალი	2	10	20,00
7	ჰაერის ფილტრის შეცვლა	ცალი	1	10	10,00
8	საწვავის ფილტრის შეცვლა	ცალი	1	20	20,00
	სულ ჯამი:				315,00

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

გრიგოლ გიორგაძე

მიმწოდებელი:

შპს "თეგეტა მოტორსი"

გიორგი მშვილდაძე

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი:	14 ნოემბერი 2012 წელი
მიმწოდებელი:	შპს „თეგეტა მოტორსი“
ხელშეკრულების №	565

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

1. გრიგოლ გიორგაძე
2. ამირან ჯეგისაშვილი
3. გივი ქემოკლიძე
4. შალვა ჯულაყიძე
5. ლაშა კახაძე

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის
პირველ მოადგილეს
ბ-ნ გრიგოლ გიორგაძეს

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
ამირან ჯეგისაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიგა,

მოგახსენებთ, რომ სამინისტროს ავტომანქანას Mercedes-benz-ს, სახ. ნომრით LQL-121 ესაჭიროება ზეთის, ზეთის ფილტრის, საწვავის ფილტრის, ჰაერის ფილტრის და სამუხრუჭე ხუნდების გამოცვლა.

გთხოვთ, თქვენს თანხმობას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე.

პატივისცემით

ამირან ჯეგისაშვილი

დეპარტამენტის უფროსი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა
და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის
პირველ მოადგილეს, ბატონ გრიგოლ გიორგაძეს

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის,
ნანა ბღარაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გრიგოლ,

გთხოვთ, დაავალოთ ეკონომიკურ დეპარტამენტს ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურებისა და ინვენტარის შესყიდვა:

- მინისტრისთვის 200 ცალი სავიზიტო ბარათის დამზადება;
- სამინისტროს ბალანსზე რიცხული, ადმინისტრაციულ დეპარტამენტზე გაპიროვნებული ავტომანქანა Wolksvagen Passat-ის (სახ. ნომერი QEQ-818) ტექნიკური შეკეთება;
- მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოსთვის:
  - ჩამწერი და გადამღები აპარატურის შეკეთება;
  - Mini DV (sony) - 20 ცალი;
  - დასატენი ელემენტები - 10ცალი,
  - CD და DVD დისკები - 50 ცალი.

პატივისცემით,

ნანა ბღარაშვილი

დეპარტამენტის უფროსი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი

ბრძანება №159

თბილისი

„14" 11. 2012 წ.

ზოგიერთი სახის მომსახურებისა და საქონლის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის შესახებ

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) გამართულად ფუნქციონირებასთან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის №8 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „თ" და „ყ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდულ იქნეს:

ა) საოფისე ავეჯი, სანათები, ტელევიზორი (2 ცალი), მაცივარი, კონდიციონერი და საკანცელარიო ნივთები - 9200 ლარის ზღვრული ოდენობით;

ბ) მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების საქონელი - 50000 ლარის ზღვრული ოდენობით;

გ) ავტომობილების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება - 1000 ლარის ზღვრული ოდენობით;

დ) CD და DVD დისკები - 80 ლარის ზღვრული ოდენობით;

ე) აბრების დამზადება - 200 ლარის ზღვრული ოდენობით;

ვ) კომპიუტერული ტექნიკა და პრინტერი - 3000 ლარის ზღვრული ოდენობით.

2. დაევალოს სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს (ა.ჯებისაშვილი) უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულებების მომზადება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სოზარ სუბარი

0177, ქ.თბილისი, ალექსანდრე ჭავჭავაძის გამზ. №42
42 Kazbegi ave., Tbilisi, 0177, Georgia, www.mcla.gov.ge